ამონაწერი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 აპრილი N 11 ოქმი

დადგენილება N 1

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევნების გამოცხადების შესახებ

სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,უნივერსიტეტის და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ დებულების" 37-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს არჩევნები და დამტკიცდეს განცხადების ტექსტი ,,სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადებისა და კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ"განცხადების ტექსტი (დანართი N1);
2. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, ბრძანებით განსაზღვროს შესაბამისი საარჩევნო კომისია;
3. წინამდებარე დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საარჩევნო კომისიას დაევალოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ არჩევნებთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას წინამდებარე დადგენილების განთავსება უნივერსიტეტის განცხადებების დაფაზე;
5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე დადგენილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
6.დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე;
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

25.04.2019 წ.